# ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

მიხეილ გიორგაძის მიერ 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის

შ ე ს ა ხ ე ბ

მოგესალმებით, ძვირფასო თანამოქალაქეებო, პატივცემულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

მოხარული ვარ, რომ დღეს ერთად შევიკრიბეთ, რათა შევაჯამოთ ჩემი, როგორც ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ავტოქარხნის უბნის მაჟორიტარის გაწეული საქმიანობა, გასული ერთი წლის განმავლობაში.

პირველ რიგში, მადლობა თითოეულ თქვენგანს მობრძანებისთვის, აქტიურობისთვის, ნდობისთვის და იმ ჩართულობისთვის, რომელიც ჩვენი უბნის განვითარებისთვის ასე მნიშვნელოვანია.

ჩემთვის, როგორც თქვენი მაჟორიტარისთვის, განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა თითოეული მოქალაქის ხმა იყოს მოსმენილი, თითოეული პრობლემა - ყურადღებით განხილული, ხოლო თითოეული შესაძლებლობა - გამოყენებული ჩვენი უბნისა და ქალაქის სასიკეთოდ.

გასული ერთი წელი იყო მუშაობის, შეხვედრების, მოსმენისა და კონკრეტულ საჭიროებებზე რეაგირების პერიოდი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დაპირებები, არამედ რეალური შედეგები, ყოველდღიურ ცხოვრებაში შესამჩნევი ცვლილებები და განცდა, რომ მათი პრობლემები უყურადღებოდ არ რჩება.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენთან შეხვედრა, თქვენი მოსმენა და თქვენს პრობლემებზე მუშაობა კვლავაც ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება. ანგარიშვალდებულება მხოლოდ ერთხელ, წლის ბოლოს, შეხვედრა არ არის - ეს არის მუდმივი ურთიერთობა მოქალაქეებსა და მათ წარმომადგენელს შორის.

დღეს გექნებათ შესაძლებლობა, გაეცნოთ გასული წლის საქმიანობის ანგარიშს. დასვათ თქვენთვის მნიშვნელოვანი კითხვები, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები და ერთად განვსაზღვროთ ის პრიორიტეტები, რომლებიც ჩვენი უბნის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მოგეხსენებათ, ჩემი სამაჟორიტარო სივრცე ავტოქარხნის ოლქის გარდა, **გამარჯვების ოლქისა** და **სულხან-საბას ოლქის** გარკვეულ მონაკვეთებსაც მოიცავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია ამ ოლქებში განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ:

**ავტოქარხნის ოლქი**

**ინფრასტრუქტურული მიმართულებით**

ავტოქარხნის ოლქში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის:

- ✓ ორახელაშვილის ქუჩაზე დაიგო გზის საფარი; (ნაწილობრივ)
- ✓ ბუკიას ქუჩა N6- ში მოეწყო სპორტული მოედანი;
- ✓ კიკნაძის ქუჩასა და კიევის ქუჩას შორის მოეწყო სპორტული მოედანი;
- ✓ ბუკიას ქუჩა N21- თან მოეწყო სპორტული ტრენაჟორები;
- ✓ მუსხელიშვილის ქუჩა N7 - ში მოეწყო სპორტული მოედანი;
- ✓ სააკაძის ქუჩის 1-ელ შესახვევში მოეწყო სანიაღვრე არხი;
- ✓ მუსხელიშვილის ქუჩა N9 -სა და N11 -ს შორის მოეწყო სანიაღვრე არხი;
- ✓ ლეჟავას ქუჩა N9-სა და N10-ში გადაიბელა ხეები;
- ✓ ბუკიას ქუჩა N19-ში გადაიბელა ხეები;
- ✓ ბუკიას ქუჩაზე აღმოიფხვრა წყლის ქცევა;
- ✓ ავტომშენებლის, ბუკიასა და ჭავჭავაძის ქუჩებზე შეიცვალა ნაგავშემკრები კონტეინერები;
- ✓ აქტიურად ტარდებოდა მოთიბვითი სამუშაოები;
- ✓ აქტიურად იცვლებოდა სხვადასხვა მისამართებზე გარე-განათების ნათურები;
- ✓ სხვადასხვა მისამართებზე დაიდგა 20 ახალი ძელ-სკამი;

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიმართულებით**

- ✓ ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N6, N14, N16, N20, N28 -ში განხორციელდა ლიფტების კეთილმოწყობა;
- ✓ ბუკიას ქუჩა N1, N5, N7- ში განხორციელდა ლიფტების კეთილმოწყობა;
- ✓ ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N4, N12, N14, N16, N18, N30 -ში მოხდა სახურავის ბიკროსტით გადახურვა;
- ✓ ბუკიას ქუჩა N6, N7, N13, N19 -ში მოხდა სახურავის ბიკროსტით გადახურვა;
- ✓ გაბესკირიას ქუჩა N10-ში და N11-ში მოხდა სახურავების გოფრირებული თუნუქით გადახურვა;
- ✓ ავტომშენებლის ქუჩა N7-ში და N10- ში მოხდა სახურავების გოფრირებული თუნუქით გადახურვა;

**გამარჯვების ოლქი**

**ინფრასტრუქტურული მიმართულებით**

- ✓ ზ. გამსახურდიას ქუჩა N44-ისა და N27-ის მიმდებარედ, (გზაგამტარ ხიდთან) სრულად მოხდა გზის რეაბილიტაცია;

- ✓ ფასადების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ზ. გამსახურდიას ქუჩა N21, N23, N32 და N44- ში; ასევე, 9 აპრილის ქუჩა N7-ში, ირ. აბაშიძის ქუჩა N15, N17 - ში და შარტავას ქუჩა N1 - ში.
- ✓ ფასადის რეაბილიტაცია დასრულდა ირ. აბაშიძის ქუჩა N1-ში;

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიმართულებით**

- ✓ ირ. აბაშიძის ქუჩა N31 - ში მოხდა სახურავის გადახურვა;
- ✓ შარტავას ქუჩა 2/38 - ში მოხდა სახურავის გადახურვა;
- ✓ ზ. გამსახურდიას ქუჩა N 27 -ში მოხდა სახურავის გადახურვა;
- ✓ ზ. გამსახურდიას ქუჩა N32 - ში მოხდა სახურავის გადახურვა;
- ✓ ზ. გამსახურდიას N40 - ში მიმდინარეობს და პროექტით წელს გაკეთდება ლიფტის რეაბილიტაცია;
- ✓ აღნიშნულ ქუჩებზე აქტიურად ტარდება გადაბელვითი და მოთიბვითი სამუშაოები, სანიაღვრე სისტემის გაწმენდა, იცვლება გარე- განათების ნათურები და ნაგავშემკრები კონტეინერები;

**სულხან-საბას ოლქი**

- ✓ ს. გუგუნავას N13 - ში საცხოვრებელი ბინის სახურავის კაპიტალური გადახურვა;
- ✓ ს. გუგუნავას 15/3 -ში მიმდინარეობს მე-3 და მე-4 სადარბაზოებში ლიფტების რეაბილიტაცია; 2027 წლისთვის ამავე ბინის მიმდებარედ იგეგმება სკვერის მოწყობა;
- ✓ ს. გუგუნავას ქუჩაზე სისტემატურად ხდება გადაბელვითი და მოთიბვითი სამუშაოები, სანიაღვრე სისტემის გაწმენდა, იცვლება გარე- განათების ნათურები და ნაგავშემკრები კონტეინერები;

წინასაარჩევნო პერიოდში სისტემატურად ვმართავდი შეხვედრებს მოსახლეობასთან, ვისმენდი მათ პრობლემებსა და საჭიროებებს. მოსახლეობასთან კომუნიკაციას ახლაც აქტიურად ვაგრძელებ, უმეტესწილად თავად მივდივარ ოჯახებში, ვეცნობი მათ პრობლემებს და ვუწევ სათანადო დახმარებას.

მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე მატერიალური დახმარება გავუწიე 43 მოქალაქეს, ჯამში 12550 ლარის ოდენობით.

სოციალური ღონისძიებების ფარგლებში, მიმდინარე წელს სრულად ავტოქარხნის და ავტომშენებლის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა 704 - მა ბენეფიციარმა მიიღო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე ბარათი. (100 ლარი). ახალ წელს კი - 710-მა ბენეფიციარმა.

ჩემი საქმიანობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მხოლოდ მაჟორიტარის სტატუსით არ შემოიფარგლება, ასევე ვარ

- ფრაქცია „ხალხის ძალა," - წევრი;

კომისიების:

- ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია -წევრი;
- კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია - წევრი;
- მუნიციპალიტეტში არსებული „ქვეპროგრამა გადაუდებელი რეაგირება" - წევრი;

ასევე ვარ:

- ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

**ფრაქცია „ხალხის ძალა"**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა"-ს წევრის სტატუსით აქტიურად ვმონაწილეობ ფრაქციის საქმიანობაში. ოთხი გამართული სხდომიდან, მონაწილეობა მივიღე ოთხივეში. ფრაქციის სხდომებზე განვიხილეთ და შევაფასეთ მუნიციპალიტეტის წამყვანი სამსახურების საქმიანობა.

**ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრის სტატუსით აქტიურად ვარ ჩართული კომისიის საქმიანობაში. მონაწილეობა მივიღე კომისიის გასვლით სხდომაზე მე-4 შერეულ პოლიკნინიკაში. გამართული 9 სხდომიდან, ვესწრებოდი 7-ს.

**კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია**

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში, საკითხების განხილვისას ყოველთვის ვცდილობ ჩემი გამოცდილება განათლების სფეროში, ჩემი რესურსი და ცოდნა მაქსიმალურად გამოვიყენო. გამართული 9 სხდომიდან, ვესწრებოდი 6 სხდომას.

**ქვეპროგრამა: გადაუდებელი რეაგირება (პროგრამული კოდი 060219**

განსაკუთრებული ყურადღება მსურს გავამახვილო ჩემს საქმიანობაზე, გადაუდებელი რეაგირების კომისიაში, რადგან აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ქუთაისში

რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას. ბენეფიციარები სხვადასხვა მომხდარ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყვნენ: სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ხანდაზმული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, უსახლკარო პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები, მხარდაჭერის მიმღები პირები, ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირები, რომლებიც შესაძლებელია იყვნენ ზემოაღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში.

ქვეპროგრამა „გადაუდებელი რეაგირების“ ფარგლებში, ბოლო 1 წლის მანძილზე დახმარება მიიღო - 367-მა ბენეფიციარმა.

**ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ქალთა და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება.

ჩვენი საბჭო აქტიურად თანამშრომლობს როგორც მუნიციპალურ სტრუქტურებთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ასევე სახელმწიფო უწყებებთან, სამედიცინო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობ მის მუშაობაში.

ამ მიმოხილვით დავასრულებ დღევანდელ შეხვედრას, მინდა კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა მობრძანებისთვის, ყურადღებისთვის, გულწრფელი მოსაზრებებისა და აქტიური მონაწილეობისთვის.

დღევანდელი შეხვედრა ჩემთვის მხოლოდ ერთი წლის საქმიანობის შეჯამება არ არის. ეს არის შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ შევხვდეთ ერთმანეთს, მოვისმინოთ ერთმანეთის აზრი, ვისაუბროთ არსებულ პრობლემებზე და ერთად დავსახოთ მომავალი ნაბიჯები.

რა თქმა უნდა ყველა პრობლემის ერთ დღეში გადაჭრა შეუძლებელია, თუმცა მთავარია, არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ დარჩეს ყურადღების მიღმა და თითოეულ პრობლემას მივუდგეთ პასუხისმგებლობით, თანმიმდევრულად და შედეგებზე ორიენტირებულად.

ჩემი, როგორც თქვენი მაჟორიტარის მთავარი ამოცანაა, ვიყო თქვენს გვერდით, მოვისმინო თქვენი სათქმელი, დავიცვა თქვენი ინტერესები ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში და ხელი შევუწყო იმ საკითხების მოგვარებას, რომლებიც ჩვენი უბნისა და თითოეული ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი თითოეულ მოქალაქეს, ვინც გულგრილი არ არის საკუთარი უბნისა და ქალაქის მომავლის მიმართ. თქვენი ჩართულობა, თქვენი აზრი და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო საქმისთვის.

მჯერა, რომ ურთიერთპატივისცემით, პასუხისმგებლობითა და ერთობლივი მუშაობით შევძლებთ არსებული გამოწვევების ეტაპობრივად დაძლევას და უკეთესი გარემოს შექმნას ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობებისთვის.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა ნდობისთვის, ყურადღებისთვის და დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობისთვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, ოჯახურ კეთილდღეობასა და წარმატებას.

გმადლობთ!

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი, მიხეილ გიორგაძე